



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 37  
28/06/2019

37-09-4-201906281900



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №23 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „სოფელ ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №23 განკარგულებაში.

**1. განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“;

**2. განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**


„1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „ქვემო ხოდაშნის ქალთა საინიციატივო ჯგუფს“ (ს/კ 431179477) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს

სოფელ ქვემო ხოდაშენში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 40.4 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 53.02.35.029).“.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

